თ ა ნ ხ მ ო ბ ა

შპს „თავკვერი” (ს/კ № 211360481) თანახმა არის, რომ მის საკუთრებაში არსებული ფართის, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ, № 16ა-ს ფასადზე შპს „გურმანი VIII”-მ (ს/კ № 406082206) განათავსოს სარეკლამო აბრა.

შპს „თავკვერი”-ს

წარმომადგენელი ლილი ბუტიკაშვილი

ორი ათას ცამეტი წლის ოცდაორ ნოემბერს, მე ნიკოლოზ მალაშხიას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, პეკინის გამზ. № 15, პირველ სართულზე, მომმართა ლილი ბუტიკაშვილმა. მან განაცხადა, რომ მოქმედებს შპს „თავკვერი”-ს მინდობილობით, დამოწმ. ნოტ. ნ. მალაშხიას მიერ 12. 02. 2013წ., რეესტრი № 130118641. მან წარმოადგინა წინამდებარე თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებული დოკუმენტით: ლილი ბუტიკაშვილი - დაბ. 10. 04. 1954წ., პირადი № 01004011315, მცხოვრები ქ. თბილისი, ბიჭვინთის III ჩიხი № 3. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე განვუმარტე, რომ ნოტარიუსი პასუხს არ აგებს წინამდებარე დოკუმენტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობაზე, მის შინაარსზე და ხელმომწერების ნების არაადეკვატურად ასახვის გამო, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი დოკუმენტზე, რასაც ვამოწმებ.

სანოტარო საზღაური, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507, მუხლი 31 თანახმად გადახდილია ორი ლარი და მუხლი 39 თანახმად რეგისტრაციის საფასური ორი ლარი.

ნოტარიუსი

საქართველო. ნოტარიუსი ნიკოლოზ მალაშხია * GEORGIA. NOTARY NIKOLOZ MALASHKHIA * ნოტარიუს მალაშხია ნიკოლოზ * 62004000581

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131229062
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	22.11.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნიკოლოზ მალაშხია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის გამზ. # 15
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2377321; მობ: 599561242
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	29488663082713

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18